ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31233401**
თარიღი: **06/12/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 10

ქ. ლანჩხუთი

01.12.2023 წელი

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის წევრები: **გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე, ირმა მგელაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი **გოჩა მოქია,** კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ბუღალტერი **კობა კუნჭულია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ ხელმძღვანელი **დიმიტრი მარშანიშვილი,** სპორტული ცენტრის ბუღალტერი **მედეა ხუხუნაიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ ხელმძღვანელი **ზაალ სანაძე,** შპს „ლანჩხუთი“-ს ხელმძღვანელი **ლევან იმნაძე,** შპს „ლანჩხუთის“ ბუღალტერი **თემურ ხუხუნაიშვილი,** შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის“ წარმომადგენელი **რევაზ ჩხაიძე**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

ფრაქციის სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა;/

3. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4. შპს „ლანჩხუთი“-ს 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

5. შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის“ 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

დღის წესრიგის პროექტის მიმართ ფრაქციის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა ცენტრის ხელმძღვანელმა **გოჩა მოქიამ.** მან განაცხადა, რომ ცენტრში 172 თანამშრომელია და ბიუჯეტი 2 798 000 ლარია, ძირითადი თანხა დაემატა 10%-იანი სახელფასო ანაზღაურებისთვის და 5 მუნიციპალური ავტობუსის შესაძენად, ასევე გათვლილია წყლის რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებისა და სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის.

გია გოგუაძემ განაცხადა, რომ წყლის სისტემის ექსპლუატაციისთვის გამოყოფილია 167 000 ლარი, რომელიც 5 600 კომლს ემსახურება. ე.ი თითოეული კომლისთვის განკუთვნილია 2,50 ლარი, რაც არასაკმარისია ხარისხიანი მომსახურებისთვის. მისი თქმით სასურველია წყალმომარაგების კომპანიამ დაამონტაჟოს მრიცხველი და თავად აიღოს პასუხისმგებლობა ყველა პრობლემაზე.

კახა ასკურავამ აღნიშნა, რომ დასუფთავების მოსაკრებელი 12 000 ლარს შეადგენს, რაც მიზერული თანხაა. მისი მოსაზრებით გრიგოლეთში მდებარე კერძო კოტეჯების მფლობელებმაც უნდა გადაიხადონ დასუფთავების გადასახადი, მითუფრო რომ ყველაზე შორი სოფელია და მეტი ხარჯია. დამატებითი თანხის გამოჩენის შემდგომ შესაძლებელია იზრუნონ სამსახურის განვითარებაზე.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მყარი ნარჩენების გადამუშავება, რაზეც ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე იანეთში, ფოთში და ოზურგეთში გააქვთ ნარჩენები. ნარჩენების გადამუშავება დაგეგმილი არ არის.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ გურიის მხარე უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მყარი ნარჩენები გადამუშავდეს და შეიმუშაონ პროექტი. სასურველია მოიყვანონ სპეციალისტი, რომელსაც ექნება ინიციატივები და იმუშავებს პროექტებზე, მოიზიდავს ფინანსებს.

გია გოგუაძემ განაცხადა, რომ დამტვრეული და შეკეთებული პლასტმასის ურნები უნდა ჩაანაცვლონ ახლებით. ასევე ისაუბრა მაწანწალა ძაღლების პრობლემებზე.

ცენტრის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ახალ ურნებს ელოდებიან და

აუცილებლად შეიცვლება, ასევე განაცხადა, რომ ესაჭიროებათ სამუშაო ეზო, რომელსაც ყოფილი „ნევთობაზის“ ტერიტორიაზე სთავაზობენ, რაზეც გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ სამუშაო ეზო ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე უფრო მოსახერხებელია, ის ტერიტორიაც მოწესრიგდება და ფუნქციაც დაეკისრება სამომავლო პერსპექტივისთვის.

გივი ცინცაძე დაინტერესდა, ხუთი ავტობუსის შესყიდვის შემთხვევაში რამდენი ადამიანი დასაქმდება და იმუშავებენ თუ არა შაბათ-კვირას.

გოჩა მოქიამ განმარტა, რომ სავარაუდოდ 10 ადამიანი დასაქმდება, მათ ექნებათ ფიქსირებული ანაზღაურება და იმუშავებენ ყოველდღიურად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა ცენტრის ხელმძღვანელმა **დიმიტრი მარშანიშვილმა.** მან განაცხადა, რომ ცენტრი ემსახურება 380 ბავშვს სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ბიუჯეტი წარმოდგენილია 765 400 ლარით. სპორტულ ცენტრს უზურფრუქტით აქვს ორი დარბაზი. მომავალი 2024 წლისთვის გეგმავენ გათბობის დამონტაჟებას გვიმბალაურის დარბაზში, გეგმავენ მაგიდის ჩოგბურთის დარბაზის რემონტს, რისთვისაც დამატებითი ფინანსებია საჭირო.

გია გოგუაძემ განაცხადა, რომ 2024 წლის პრიორიტეტებში არ წერია სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომელიც დაგეგმილიც კი არ არის. ასევე აღნიშნა, რომ ძველი სპორტული სკოლის შენობა ავარიულობის გამო გაასხვისეს და აღმოჩნდა, რომ პირველი სართული ვარგისიანია და ამჟამად კომერციული მაღაზიაა განთავსებული.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის გარდა ყველა მუნიციპალიტეტს აქვს სპორტული კომპლექსი.

ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ნიგოითის რაგბის სტადიონს გაუკეთდა სველი წერტილები და საჭიროა გასახდელების აშენება. ასევე აღნიშნა, რომ გადახურული დარბაზის არქონის გამო ფერხდება ბევრ სპორტის სახეობაში ვარჯიში.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინონ თანხის მატება, რადგანაც სპორტული ცენტრისთვის აუცილებელია ახალი დარბაზის აშენება, რაგბის სტადიონზე გასახდელების მოწყობა და გვიმბალაურის დარბაზში გათბობის დამონტაჟება.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა **ზაალ სანაძემ.** მან განაცხადა, რომ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს 200 ბავშვი. ჰყავთ 42 თანამშრომელი, აქედან 20 მწვრთნელია. 2024 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 429 600 ლარით.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, დღეის მდგომარეობით რამდენი სტადიონი აქვთ და რას გეგმავენ მიმდინარე წლისთვის.

ზაალ სანაძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო სკოლას აქვს ჩიბათში ბუნებრივი მინდორი და ორი პატარა ხელოვნურსაფარიანი სტადიონი, ქალაქში. ასევე სარგებლობენ გვიმბალაურის საფეხბურთო აკადემიის სტადიონით. მან აღნიშნა, რომ თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსული, რომლებიც შემოდიან წინადადებით, რომ გააკეთონ საპილოტე ჯგუფი. თბილისის „დინამოს“ ორი მწვრთნელი გაწვრთნის 30 ბავშვს, თავისი მეთოდოლოგიით, რისთვისაც ბიუჯეტში 10 000 ლარის მატებაა საჭირო, ვინაიდან მშობლებს არ აქვთ საშუალება გადაიხადონ დამატებითი თანხა.

გიორგი გოგუაძემ ისაუბრა საფეხბურთო კლუბების ლიცენზიის შესახებ, კლუბმა ყველა პირობა უნდა შეასრულოს, რომ ჰქონდეთ ლიცენზია და ჰყავდეთ შესაბამისი მწვრთნელები. ბავშვები, რომლებიც გადადიან სხვა გუნდებში ესაჭიროებათ შესაბამისი კატეგორიის მოწმობა.

ზაალ სანაძემ აღნიშნა, რომ გურია მცირერიცხოვანი რეგიონია და ვერ ახერხებენ ძლიერი კონტინგენტის შევსებას, თუმცა ჰყავთ ძლიერი მოთამაშეები. ასევე აღნიშნა, რომ ესაჭიროებათ გადახურული დარბაზი, უამინდობის დროს ვერ ვარჯიშობენ სრულყოფილად.

კახა ასკურავამ განაცხადა, რომ საფეხბურთო აკადემია უნდა გახდეს სპორტული ცხოვრების ნაწილი, თუკი არ გაიხსნება აკადემია, უპრიანია შეუშვან საფეხბურთო სკოლა და დაიტვირთება სრულად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: შპს „ლანჩხუთი“-ს 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა ხელმძღვანელმა **ლევან იმნაძემ.** მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტი 215 000 ლარით აქვთ წარმოდგენილი, რომელიც მიმდინარე წლის ხარჯებისთვის საკმარისია.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, ხდება თუ არა მინდვრის განახლება და ლანჩხუთის „გურიას“ 100 წლის იუბილისთვის რა თანხაა გამოყოფილი.

ლევან იმნაძემ განაცხადა, რომ მინდვრის განახლება ხდება ადგილობრივად. ხოლო სტანდარტული მინდორი საკმაოდ ძვირია, რომელიც სარწყავ სისტემასაც საჭიროებს. ასევე აუცილებელია გაკეთდეს დასავლეთი ტრიბუნა, რომ მინდორი არ გადაჯიშდეს. ხოლო ლანჩხუთის „გურიას“ 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით თანხა ამ ეტაპისთვის არა არის გამოყოფილი.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ 50 000 ლარი უნდა გამოეყოს შპს-ს რომ მოაწყონ „გურიას“ 100 წლის იუბილე. ასევე ჩამოსული სტუმრების გამასპინძლებისთვის გარკვეული თანხა უნდა გამოყონ.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის ლანჩხუთის“ 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა რევაზ ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში 175 000 ლარია გამოყოფილი, განვითრების ფონდი 40 000 ლარს აძლევს ხარჯებისთვის. ისინი ასევე უეფადან წამოღებული თანხით სარგებლობდნენ ორი წელი, რომელიც უკვე ამოიწურა და ლიბერთი ბანკიც უწევთ გარკვეული სახის სპონსორობას.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, სად ვარჯიშობს გოგონები, რამდენია მოთამაშის მაქსიმალური ანაზღაურება და რამდენი თვე, რაზეც რევაზ ჩხაიძემ განმარტა, რომ ხელშეკრულება ცხრა თვეზეა გაფორმებული და მაქსიმალური ანაზღაურება 1 000 ლარია. ამჟამად სეზონი დასრულებულია და ახალ მოთამაშეებთანაც მიდის მოლაპარაკება. გოგონები გვიმბალაურში აკადემიის სტადიონზე ვარჯიშობენ ძირითად.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ გოგონებისთვის 220 000 ლარი უნდა მოითხოვონ და საცხოვრებლად გადაიყვანონ გვიმბალაურის აკადემიის შენობაში.

გივი ცინცაძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც რეგულარულად განთავსდება საფეხბურთო აფიშები.

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა